ფოთის მერიაში თოფურია თოფურიამ ჩაანაცვლა
გვ. 2

სოციალურად დაუცველი 16 წლამდე ბავშვების დახმარება ხუთჯერ გაიზრდება
გვ. 2

მთავარი თემა სამეგრელოში

ფასი 1 ლარი №24 5 - 12 ნოემბერი 2018 წელი\ გამოდის სამშაბათობით

ფოთის საკრებულოს სხდომა ხმაურით დასრულდა
გვ. 3

შეჩერებული პროექტების განხორციელება გრძელდება
გვ. 3

პირველი ორთქმავალი ფოთში დაბრუნდება?!
გვ. 4

თვეობით გაჭიანურებული ,,ეს დღეები,,
გვ. 4

ირაკლი კაკულია: ,,გაძლევთ პირობას, ფოთი ევროპული ტიპის ქალაქი გახდება,,

თეკლე მატკავა
ფოთი

2018 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში გამარჯვებული კანდიდატი ვერ გამოვლინდა. შესაბამისად, მეორე ტური დაინიშნა, რომელიც 2 დეკემბერს ჩატარდება. ერთმანეთს დამოუკიდებელი კანდიდატი, ამავდროულად მმართველი გუნდის მიერ მხარდაჭერილი სალომე ზურაბიშვილი და გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატი გრიგოლ ვაშაძე დაუპირისპირდებიან.

მას შემდეგ რაც დამთავრდა საპრეზიდენტო არჩევნები და ცნობილი გახდა შედეგები, საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის ამოუხსნელი დარჩა ფოთის მოსახლეობის მიერ გაკეთებული არჩევანი.

თუ რატომ დამარცხდა საპრეზიდენტო არჩევნებში ქართული ოცნების მხარდაჭერი კანდიდატი, ამ კითხვით მივმართეთ ქართული ოცნების ფოთის საქალაქო ორგანიზაციის ხელმძღვანელს და ამავდროულად მე-9 მოწვევის საკრებულოს თავმჯდომარეს ირაკლი კაკულიას. ჩვენს დასმულ კითხვაზე - რატომ დამარცხდა ,,ქართული ოცნება,, ფოთში რა იყო წაგების მიზეზი და რატომ მოიგო გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატმა. სანამ პასუხს შემოგთავაზებდეთ, მანამ თვალი გადავავლოთ კვირის განმავლობაში გაკეთებულ შეფასებებს ქართული ოცნების ცენტრალური ხელისუფლების ეშელონებიდან. როგორც მმართველი პარტიის წარმომადგენლები ამბობენ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებმა დემოკრატიის ის სტანდარტი აჩვენა საზოგადოებას, რაც 2012 წლიდან დღემდე "ქართული ოცნების" მონაპოვარია. „ეს გზავნილი ყურადსაღებია, ჩვენი მხრიდან მიღებული და გააზრებულია. მეორე ტურში უზრუნველვყოფთ ერთსულოვნებას, მათ შორის ჩვენი იმ მხარდაჭერებისას, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზის გამო არ მიიღეს მონაწილეობა არჩევნებში. მეორე ტურში ჩვენ, ყველა ერთად აღვნიშნავთ იმ ღირებულებებისა და ფასეულობების გამარჯვებას, რისთვისაც ჩვენ ყველა ერთად ვიბრძვით"- განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

სამთავრობო ნარატივს იზიარებს კაკულია, თუმცა ფოთში საპრეზიდენტო არჩევნებში "ქართული ოცნების" დამარცხების მიზეზებზე საუბრისგან თავს იკავებს, და ხაზს უსვამს მხოლოდ არჩევნების დემოკრა-

დასასრული 4-გვ.

შენ ჯერ ეგ არ გინახავს



აქ გვიპოვი ჩვენ
www.msnews.ge

სიყვარულით განვლილი ნახევარი საუკუნე
გვ. 6

პედაგოგთა პროფკავშირმა საბავშვო ბაღების მზარეულებს ჰიგიენაში ტრენინგი ჩაუტარა
გვ. 2

მუნიციპალიტეტების დაფინანსების ახალი სისტემა ძალაში შევიდა
გვ. 5

ია როგავა: ,,მოდი ახლა ამ ყველაფერს პოზიტიურად შევხედოთ,,
გვ. 6

გამომცემელი და დირექტორი,
მთავარი რედაქტორი
ინგა გვასალია -
599 341 417;
ინგაგვასალია რედაქტორი
ივეტა პაჭკორია -
597 97 76 18

კორექტორი:
მაია ჩხეიძე
551 522 429-
კორესპონდენტები:

მარიამ ჯავახია -
579 24 11 22

თეკლა მატკავა
(ფოთი)
568 74 41 12

ივეტა პაჭკორია
(ხობი)
597 97 76 18

გამოქვეყნებული მასალის შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. სტატიის ავტორები თავად აგებენ პასუხს ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიო მასალები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

ირაკლი კაკულია: ,,გაძლევთ პირობას, ფოთი ევროპული ტიპის ქალაქი გახდება,,

დასაწყისი პირველ გვერდზე

ტიულად ჩატარებას.

,,პირველ რიგში მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს ამომრჩევლებს და მოვუწოდო - მეორე ტური ჯერ კიდევ წინ არის. მაქსიმალურად უნდა მოხდეს პარტიის და საზოგადოების იმ ნაწილის მობილიზება, რომელსაც არ უნდა ნაციონალური მოძრაობის მობრუნება, უკანონო მოსმენები, ნარკოტიკის ჩადებები. ვისაც არ უნდა დაბრუნდეს პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები და 40 ათასი პატიმარი საქართველოში. როგორც შტაბის ხელმძღვანელს, მაქვს ინფორმაცია იმ მიზეზებზე, რატომ ვერ გაიმარჯვა პირველ ტურშივე ქართული ოცნების მხარდაჭერილმა კანდიდატმა. ამჟამად მათზე საუბრისგან თავს შევიკავებ. უბრალოდ, კიდევ ერთხელ ვეტყვი და მოვუწოდებ ამომრჩევლებს, ბნელ ძალას არ დაუჭირონ მხარი და მეორე ტურში ღირსეულად გაიმარჯოს ფოთში. საზოგადოების არამთლიანმა ნაწილმა გაბრაზების გამო ნაციონალური მოძრაობის კანდიდატ გრიგოლ ვაშაძეს მისცა ხმა. ყველამ იცის, რომ ქვეყნის პერსპექტივა პირველ რიგში მშვიდობის დამყარებაში, ჩვენს ევროპელ და ამერიკელ პარტნიორებთან ერთად ქვეყნის ნელ-ნელა მშენებლობაშია და არა ძალადობაში. ვინც იქნება ძალადობის მხარეს და ვინ მშვიდობის მხარეს, ეს დაფიქსირდება მეორე ტურში. დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენი ქალაქი მხარს დაუჭერს მშვიდობას და საქართველოს მომავალს. პირდაპირ გეტყვით, ჩვენ ჩავატარეთ დემოკრატიული არჩევნები და ამ არჩევნებში ვაშაძეს ედგა გვერდით მეორე ვაშაძე. არსებობს ეჭვები, რომელზეც მიმდინარეობს მოკვლევა ჩვენი მხრიდან და ამაზე არ მინდა საუბარი ჯერჯერობით. ერთს ვიტყვი, ფოთელები უნდა დავრჩეთ ერთმანეთის პირისპირ და დანარჩენზე შემდგომ ვისაუბროთ”-საუბრობს კაკულია.

საზოგადოების უმეტესი ნაწილი, თვლის, რომ ქართულმა ოცნებამ წინასაარჩევნო კამპანია არ აწარმოა და მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის 9 წლიან მმართველობაზე და მათ შეცდომებზე საუბრის პათოსი შეინარჩუნა. მოგვიანებით ხელისუფლების წარმომადგენლებმაც აღიარეს ეს და შეცდომად ჩათვალეს რომ არ გამოიყენეს რესურსი, იმ ადამიანების რომლებიც ქართული ოცნების ჩამოყალიბების დღიდან ედგა ოცნებას გვერდით, “ორიათასთორმეტიანების” სახელით რომ იყვნენ ცნობილნი. ბოლო დროს მთავრობის წარმომადგენლების მხრიდანაც ხშირად ისმის განცხადებები და აღიარებები პიარის სინაკლებესთან დაკავშირებით, რომ რეალურად 6 წლის განმავლობაში უამრავი საქმე გააკეთდა, მაგრამ ეს არ ჩანს, მოსახლეობა ვერ ხედავს გაკეთებულ საქმეებს. მათი პიარი მხოლოდ შემოიფარგლება მხოლოდ მუნიციპალიტეტების მიერ შექმნილ ფეისბუქ გვერდებზე, რომელსაც ძირითადად მხოლოდ საზოგადოების ის ნაწილი ხედავს და აზიარებს, რომლებიც მომხრეები არიან მმართველი პარტიის.

“ჩვენს ქალაქში ექვსი წლის განმავლობაში ძალიან ბევრი რამ გაკეთდა, თითოეულმა მერმა, ვინც ქართული ოცნების მხრიდან იყო, შექმნეს და დატოვეს თავიანთი გაკეთებული საქმეები და ახლაც გრძელდება. ”ნაციონალურ მოძრაობას” 9 წლის განმავლობაში რომ გაეკეთებინა ქალაქისთვის რამე, ჩვენ ასე დროში არ გაგვეწელებოდა ის, რისი გაკეთებაც გვინდა. არ არის დიდი დრო 6 წელი. ყველას კარგად ახსოვს ლემონჯავას დროს დანგრეული ავტო ფარეხები, ჩვენ ვეცადეთ, ეტაპობრივად კეთილმოგვეწყო ეზოები, ბოდიში მინდა მოვუხადო მოსახლეობის იმ ნაწილს, რომლებსაც ვერ მოვუწესრიგეთ კორპუსის ეზო. ასევე მოიხრეშა საცხოვრებელი კორპუსების სარდაფები, სადაც საშინელი მდგომარეობა იყო, მოვაწესრიგეთ ზღვასთან მისასვლელი გზა, სადაც წლების განმავლობაში არ არსებობდა სამანქანო გზა და დღეს უკვე სამ კილომეტრიანი ზღვის ზოლი გვაქვს და ვითარდება კიდევ. ფოთის შემოსასვლელში არ მუშაობდა ჰიდროკვანძი, რომელიც ნაციონალურმა მოძრაობამ დაგვიტოვა ამორტიზებულ მდგომარეობაში და დღეს ის ავტომატიზირებულია და ფოთის დატბორვის საშიშროება მინიმუმამდეა დაყვანილი. ამას გარდა, კანალიზაციის პროექტში იყო ხარვეზები, მაგრამ ახლა ახალი კომპანია შემოვიდა, რომელიც ძალიან დიდი პროექტია ფოთისთვის. ჩვენს თანაქალაქელებს ვაძლევ პირობას, ევროპული ტიპის ქალაქი ექნებათ.“

როგორ აფასებს ფოთელი მოსახლეობა საპრეზიდენტო არჩევნებს და ელოდნენ თუ არა ამ შედეგებს:

ზაზა გვასალია - ,,არჩევნების პირველ ტურში გრიგოლ ვაშაძემ კარგი და ჭკვიანური კამპანია ჩაატარა, ხოლო სალომე ზურაბიშვილს, რომელსაც ქართული ოცნება უჭერს მხარს, ჩემი აზრით რეალურად არანაირი კამპანია არ ჰქონია. გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატის გრიგოლ ვაშაძის ყურადღება მიმართული იყო ნაციონალური მოძრაობის მიერ მმართველი პარტიის კრიტიკაზე, ხოლო ზურაბიშვილმა ცოტა რამ გააკეთა იმისათვის, რომ ან ქართული ოცნების მიღწევებისკენ მიეპყრო ყურადღება, ან გაემყარებინა ის არგუმენტი, რომ ვაშაძის უკან რეალურად ექს-პრეზიდენტი სააკაშვილი დგას“.

სალომე ალანია- ,,ვფიქრობ, შედეგები მოულოდნელი არ ყოფილა, ფაქტია, რომ ქართული ოცნება დღეს არ არის იმ ეტაპზე, მხოლოდ იმას დაყრდნობოდა, რომ ნაციონალური მოძრაობა არ მოსწონდა მოსახლეობას. ვფიქრობ, მათ ეს არ გაითვალისწინეს და ვერ შეაფასეს რეალობა. ამიტომაც მოხდა ის, რაც მოხდა“.

ზვიადი კვერნაძე - ,,მე ერთი ჩვეულებრივი მოქალაქე ვარ და მეორე ტურის პროგნოზებზე ვერ ვისაუბრებ. ფაქტია, რომ “ქართულმა ოცნებამ” წააგო ფოთში და საქართველოს უდიდეს ნაწილში. ქართველი ხალხი არაა პრინციპული, საერთოდ არ უნდა შემოეხაზა არც ქართული ოცნება და არც ნაციონალური მოძრაობა, სხვა ოპოზიციური კანდიდატისთვის უნდა მიეცათ ხმა და მაშინ დაინახავდნენ პოლიტიკური პარტიები, რომ ქართველი ხალხი სათამაშო სულაც არ არის“.

ფოთის მერიაში თოფურია თოფურიამ ჩაანაცვლა

ფოთის ვიცე მერად კოტე თოფურია ოფიციალურად წარადგინეს. კოტე თოფურია განათლებით ეკონომისტია. თოფურია აღნიშნულ თანამდებობაზე კერძო ბიზნესიდან მოვიდა. ის 2014 წლიდან დღემდე შპს „ნაზვრევის“დირექტორი გახლდათ. თოფურიას საჯარო სამსახურში რამდენიმეწლიანი მუშაობის გამოცდილება აქვს, იგი 1994-2000 წლებში საქართველოს ახალგაზრობის საქმეთა დეპარტამენტის ფოთის საქალაქო განყოფილებას ხელმძღვანელობდა. თოფურიას აღნიშნულ პერიოდში საქმიანობა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა დადებითად შეაფასეს.

„მინდა მადლობა გადავუხადო ქალაქის ხელმძღვანელობას გამოცხადებული ნდობისათვის. დარწმუნებული ვარ ჩვენ მოკლე დროში შევძლებთ არსებული პრობლემების საფუძვლიანად შესწავლას და მათ გადაწყვეტის გზების დაგეგმვას. ეს რთული და საპასუხისმგებლო სამუშაოა.დარწმუნებული ვარ ჩვენი გუნდი ამას შეძლებს და ყველაფერს გააკეთებს, მოსახლეობამ დაინახოს, რომ ქალაქში დაიწყო ცვლილებები“– განაცხადა ჟურნალისტებთან კოტე თოფურიამ.

ვიცე მერის ადგილი ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც მერის მოადგილე ირაკლი თოფურიამ პირადი განცხადების საფუძველზე თანამდებობა დატოვა. თოფურიას წასვლას თვითმართველობაში საკადრო ცვლილებები მოჰყვა. ვიცე მერობიდან მამუკა პაპასკირმა მერის მოადგილის თანამდებობაზე გადაინაცვლა.

სოციალურად დაუცველი 16 წლამდე ბავშვების დახმარება ხუთჯერ გაიზრდება

სოციალურად დაუცველი 16 წლამდე ბავშვების დახმარება ხუთჯერ გაიზრდება და ბავშვიანი ოჯახები ამჟამად არსებული 10-ლარიანი დახმარების ნაცვლად მიიღებენ 50-ლარიან დახმარებას.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ მთავრობის სხდომის წინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, აღნიშნული ინიციატივა 140 000-მდე ბავშვს შეეხება.

„ჩვენ ამის შესახებ საუბარი გვქონდა გაზაფხულზეც, როდესაც Iჩ -ის კვლევა გამოქვეყნდა და იმ კონკრეტული რეკომენდაციების შესახებ, რომელიც ასახული იყო ამ კვლევაში. ჩვენი პოლიტიკური გუნდის მთავარი პრიორიტეტი მუდამ იყო და არის ადამიანი, როგორც მთავარი ფასეულობა“ – განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

◇◇◇

პედაგოგთა პროფკავშირმა საბავშვო ბაღების მზარეულებს ჰიგიენაში ტრენინგი ჩაუტარა

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების ფოთის საქალაქო ორგანიზაციის ორგანიზებით ფოთის საბავშვო ბაღების გამგეებს, ექთნებს, მნეებს, მზარეულებსა და მის თანაშემწეებს ჰიგიენური სწავლება ჩაუტარდა. ტრენინგის 55 მონაწილეს გ. ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის ტრენერებმა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მოწოდებული მოდულები - “ხუთი გასაღების პრინციპი უვნებელი სურსათისათვის” გააცნეს. ტრენერებმა ტრენინგში მონაწილეებს პრაქტიკული რჩევებიც მისცეს.

ტრენინგის შემდეგ სწავლების მონაწილეებს შესაბამისი სერთიფიკატები გადაეცემათ.

ფოთის საკრებულოს სხდომა ხმაურით დასრულდა

ივეტა პაჭკორია
ფოთი

ფოთის საკრებულოს მე-20 სხდომა ხმაურით დასრულდა. „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა დარეჯან ცხვიტარიამ ხელისუფლება ამომრჩევლებზე განხორციელებულ ზეწოლაში დაადანაშაულა. ცხვიტარიას მტკიცებით, საკრებულოს წევრები მოსახლეობას აშინებენ და მათ სამსახურებიდან გათავისუფლებით ემუქრებიან. ბრალდების დასადასტურებლად ოპოზიციამ ფოტო მასალაც კი წარმოადგინა: „მოქალაქეებს აშინებენ სამსახურიდან გაგდებით, თუ არ მისცემენ ხმას „ქართული ოცნების“ მხარდაჭერილ კანდიდატს. ხალხს თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალება უნდა მიეცეს“ — განუცხადა ჟურნალისტებს ცხვიტარიამ. საკრებულოს წევრებმა ცხვიტარიას ფაქტის დამტკიცება მოთხოვეს და მანაც ფოტო წარუდგინა საკრებულოს, სადაც საკრებულოს წევრი აპოლონ ბჟალავა აგიტაციის დროსაა გადაღებული, საკრებულოს წევრებისათვის არც ეს აღმოჩნდა საკმარისი. „აგიტაციის უფლება ყველას აქვს“- იყო მათი მოკლე კომენტარი, რის შემდეგ დარბაზი დატოვეს. წარდგენილ ბრალდებაზე ბჟალავამ განაცხადა, რომ ის არ იყო არჩევნების პირველ ტურში ჩართული: „ამომრჩევლებს რა თქმა უნდა, ვეტყვი, რომ „ქართულ ოცნებას“ მისცენ ხმა, აბა ნაციონალებს დაუჭირეთ მხარი-თქო, ხომ არ ვეტყვი? მე განახებთ აწი თქვენ აგიტაციას“ “დაემუქრა” “ნაციონალურ მოძრაობას” ბჟალავა.

საკრებულოს თავმჯდომარისათვის ცხვიტარიას მიერ წარმოდგენილი “მტკიცებულება” საკმარისი არგუმენტი არ აღმოჩნდა და ხუმრობის გუნებაზეც კი დადგა: „ქალბატონი დარეჯანი გაბრაზებულია იმ ხალხზე, ვინც მას დაუჭირა მხარი და მგონი იმიტომ ყვირის. სწორედ იმ ძალას უნდა მოსვლა, რა თქმა უნდა, თუ მოუშვა ხალხმა, რომელმაც უსაფუძვლო ბრალდებებით 40 ათასი ადამიანი ჩასვა ციხეში. საკრებულოს წევრს სრული უფლება ჰქონდა, თავის უბანში გაეწია აგიტაცია. ახლა ესენი აშინებენ ხალხს, აი მოვა მიშა და თუ ხმას არ მისცემთ, დაგიჭერთ ისევო. პოლიტიკური შეცდომა დაუშვეს, როდესაც მიშა გაახსენეს ხალხს. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ქალაქი სწორ არჩევანს გააკეთებს“- აღნიშნა საკრებულოს თავმჯდომარემ.

ინცინდენტს ურთიერთბრალდებების გარეშეც არ ჩაუვლია. ბრალდების საგანი ნავსადგური გახლდათ. საკრებულოს თავმჯდომარემ ნაციონალებს ნავსადგურის გასხვისება შეახსენა: „სწორედ წინა ხელისუფლებამ გაასხვისა ფოთის ნავსადგური, იმიტომაც არაქვს პერსპექტივა ქალაქს, ფოთი გაანადგურეთ და როგორ უნდა ილაპარაკოთ?“. ამ ბრალდებას ცხვიტარია არ “დაუბნევია”: „არ გრცხვენიათ ხალხნო, შავზე თეთრს რომ ამბობთ? ნუ აგრძელებთ ამას, მოგიწოდებთ, თორემ უარეს დღეში აღმოჩნდებით. თქვენს ქმედებასაც აქვს საზღვარი. ცრუ ინფორმაცია აქვს საზოგადოებას, პორტი გაიცა არენდით 49 წლით და თქვენ მართლაც გაყიდეთ თავისუფალი ზონა ჩინელებზე. მთელი პრობლემა შენშია ირაკლი“-

საკრებულოს სხდომისა და ხმაურიანი ინცინდენტის დამთავრების შემდეგ, ჟურნალისტებთან საუბრისას „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური პარტიის“ საქალაქო ორგანიზაციების თავმჯდომარეებმა თავიანთ ამომრჩევლებს მადლობა გადაუხადეს ნდობისათვის. თითოეულმა აღნიშნა, რომ ამომრჩეველმა ნათელ მომავალს მისცა ხმა: „მიუხედავად იმისა, რომ არჩევნები გაყალბებით მიდიოდა, ქართველმა ხალხმა მაინც აჯობა ამ ცრუ ოლიგარქიულ, ფეოდალურ მმართველობას და ხმა მისცა მას, ვინც საქართველოს წაიყვანს წინ. მეორე ტურისთვის აგრძელებენ ბინძურ აგიტაციას, მიდიან ხალხთან და აშინებენ, თუ არ მისცემთ ხმას „ქართულ ოცნებას“ სამსახურებიდან გაგათავისუფლებთო და ასევე ეუბნებიან სიბინძურეებს“- განაცხადა დარეჯან ცხვიტარიამ.

ირაკლი კაკულიამ პირველ რიგში მადლობა გადაუხადა ყველა იმ ადამიანს ვინც “ნათელ მომავალს” მისცა ხმა: “ჩვენ გვაქვს მეორე ტური. ყველას მოვუწოდებ, ვინც საქართველოს მომავალს იმედით უყურებს და ვინც ნიკო ნიკოლაძის ქალაქში ცხოვრობს, გააკეთოს სწორი არჩევანი“.

შეჩერებული პროექტების განხორციელება გრძელდება

ივეტა პაჭკორია
ფოთი

გასული წელი ფოთისათვის შეჩერებულ სამუშაოებთან ასოცირდება. პრობლემას წარმოადგენდა ასევე ჩატარებულ სამუშაოებზე საგარანტიო ვადები, რომელიც ან ძალიან მცირე იყო ან აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, სამუშაოს შემსრულებელი კომპანია ხარვეზის აღმოსაფხვრელ სამუშაოებს საერთოდ არ ასრულებდა. შესაბამისად, ქალაქს უხარისხო და ნახევრად დაუმთავრებელი პროექტები რჩებოდა.

ქალაქში დღეისათვის მიმდინარე სამუშაოებს 3-დან 6 წლამდე საგარანტიო ვადა გააჩნია. როგორც ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის თანაშემწე პაატა მურვანიძემ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა: „გამოცდილებიდან გამომდინარე, მაქსიმალურად ვცდილობთ, საგარანტიო ვადები გავზარდოთ, ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, კონტრაქტორი კომპანია ასწორებს ხარვეზს. მაგალითისათვის შემიძლია მოვიყვანო მაღალსართულიანი სახლების გადახურვისას მომხდარი ფაქტი. სამუშაოს დამთავრების შემდეგ მობინადრეებმა აღმოაჩინეს ხარვეზი, რაც კომპანიამ გამოასწორა მისივე ხარჯით“.

ფოთში, რამდენიმეწლიანი ლოდინის შემდეგ, მიმდინარე წლის ბოლოსათვის დამთავრდება სტადიონის მშენებლობა და, სავარაუდოდ, გაზაფხულზე ფოთის „კოლხეთი“ შეძლებს საკუთარ სტადიონზე თამაშს.

განახლდა წყალლარინების ქსელის რეაბილიტაციაც. პროექტი წელიწადზე მეტია, შეჩერებულია და რამდენიმე კონტრაქტორი კომპანიაც გამოიცვალა. თავდაპირველად, “საუკუნის პროექტის” სამუშაოების შეჩერების რეალური მიზეზი ტენდერში გამარჯვებული ფირმის „აზერ აგრარტიკინტი“-მ უხარისხო ნამუშევარი გახდა. კერძოდ, რკინა ბეტონის მილების ნაცვლად პლასმასის მილები ჩაიყრა. უხარისხო სამუშაო 37 კილომეტრზე განხორციელდა. შემდეგ მოლაპარაკება მიმდინარეობდა რამდენიმე ევროპულ კომპანიასთან. პროექტის თავდაპირველი ღირებულება 37 მილიონ 400 ათას აშშ დოლარს შეადგენდა. დღეისათვის სამუშაოებს კომპანია “თაჰალ როუპ V” აწარმოებს. ამ ეტაპზე, სუბკონტრაქტორ კომპანიასთან ერთად, მოსამზადებელი სამუშაოები ხორციელდება, რაც არსებული მილების გამტარიანობის შემოწმებას, გაწმენდასა და დაზიანებული უბნების აღდგენას გულისხმობს. პარალელურად, კომპანია ახალი მილების მონტაჟის სამუშაოებს იწყებს.

ამჟამად სამუშაოები ცენტრის უბანში მიმდინარეობს. კომპანია მალე დარჩენილ 32 ქუჩასაც მოიცავს. პროექტის ფარგლებში, ფოთში მოეწყობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი წყალლარინების ქსელი და სატუმბი სადგურები. სამუშაოების ღირებულება დღეისათვის 89 943 800 ლარს შეადგენს, რასაც აზიის განვითარების ბანკი დააფინანსებს და იგი 2020 წლამდე გაგრძელდება.

უკვე წლებია, ქალაქში არ ჩატარებულა გზების კაპიტალური რემონტი თუ სარემონტო სამუშაოებს არ ჩავთვლით. ამის მიზეზი საკანალიზაციო პროექტია, რომელიც წელიწადზე მეტია შეჩერებულია. ქალაქში მხოლოდ მოხრეშვა- მოგრეიდერება და ორ-

დასასრული 4-გ3.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲝᲠᲗᲥᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲤᲝᲗᲘᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ?!

ᲗᲔᲙᲚᲔ ᲛᲐᲭᲙᲐᲕᲐ
ᲤᲝᲗᲘ

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში“ რამდენიმე თვის წინ დაინტერესდა ერთი ისტორიული ობიექტის ბედით. საუბარია, საქართველოში პირველ ორთქმავალზე, რომელმაც სტარტი სწორედ ჩვენი ქალაქიდან აიღო. აი ეს ისტორიული ორთქმავალი წლებია უპატრონოდაა მიგდებული, გაცვეთილი, ჟანგმოკიდებული მაშინ, როცა სიმბოლო უნდა იყოს ნიკო ნიკოლაძის მიერ გაკეთებული ერთ-ერთი საქმისა, პირველი ნაბიჯისა ამიერკავკასიაში, რომელმაც აღიარება და კეთილდღეობა მოუტანა ჩვენს ქალაქს. მაგრამ ჩვენ როგორ ვიქცევით?! არ ვუფრთხილდებით წარსულს, რომელიც საოცრად საამაყოა. მეტიც, სანაგვეზე ვაგდებთ მას, რაც უპატიებელი დანაშაულია.

“ევროპული წესის თვისება ის არის, რომ ყოველი თაობა განძად სთვლის წინაპრებისაგან გადმოცემულ სიმართლეს და საუნჯეს და ზედ თვითონაც ბევრს ამატებს, ართავს, აშენებს. აზიაში და ჩვენთანაც, სადაც ყველას დედა-აზრი ის არის, რომ “მე ვარ და სხვა არავინო”, ყოველი ახალი თაობა ყოვლად უაზრო, უზრდელი, უტრადიციო, უეცრად სპობს და ლეწს წინანდელი თაობის ნაშრომს” –ასე ამბობდა დიდი მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე თავის დროზე. რამდენად წინასწარმეტყველური და ჩვენი დროისთვის შესაფერისი აღმოჩნდა მისი საუკუნის წინ ნათქვამი. ალბათ გრძნობდა, რომ ის, რასაც მთელი ძალისხმევა მოანდომა, წლების შემდეგ დაჟანგული, მიუსაფარი და უმისამართო გახდებოდა.

ფოთიდან თბილისამდე 1872 წლის 10 ოქტომბერს დაიძრა პირველი სამგზავრო მატარებელი. სწორედ ეს დღე ითვლება ამიერკავკასიის რკინიგზის დაბადების დღედ. ამის შემდეგ საქართველოში ფართომასშტაბიანი სარკინიგზო მშენებლობა გაიშალა.

პირველად მწყობრში ჩადგა ფოთის, ჭალადიდის, ახალსენაკის, რიონისა და ყვირილას სადგურები. ფოტოებმა შემოგვინახა პირველი ორთქმავალი, „ფერლის“ ტიპის სამეფო ვაგონები.

ფოთის ტურიზმის განვითრების ხელძღვანელი მიშა კილასონია როგორც ამბობს: „უკვე რამდენიმე თვეა, გავაგზავნეთ წერილი რკინიგზის სამინისტროში და 90 პროცენტით დარწმუნებული ვარ, გამოვა ეს საქმე და შემდეგ ქალაქი გადაწყვეტს, სად დაიდგას. ვთვლი, რომ ეს საკითხი ქალაქმა უნდა გადაწყვიტოს. რკინიგზის მიმდებარედ უნდა დაიდგას, როგორც ისტორიული ორთქლმავალი. ქალაქის მერიც საქმის კურსშია და მისი მოადგილე გიორგი ფარეშიშვილიც, რომლებიც მუშაობენ ამ თემაზე. როგორც ვიცით, პირველი ორთქლმავალი რკინიგზის სამინისტროს ბალანსზეა, უშულოდ მიწერილია სამტრედიაზე, ფოთს არ ეკუთვნის. რამდენიმე თვის წინ, სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინე აღნიშნული ორთქმავალი და გამიჩნდა იდეა, ქალაქისთვის დამებრუნებინა ისტორიულად მნიშვნელოვანი კუთვნილება ნიშნად ქალაქის ისტორიისა. ისტორიული ორთქმავალი შელახულია, არ არის კოლოსალურ თანხებთან დაკავშირებული, თუმცა რეაბილიტაციისათვის საჭიროა გარკვეული თანხა. ჩვენ ვმუშაობთ, რომ რკინიგზის სამინისტრომ თავად გამოყოს საჭირო თანხა. თუ ეს ვერ მოხერხდა, მაშინ ქალაქი გამოყოფს შესაბამის თანხას, რაც მომავალი წლის ბიუჯეტში იქნება გათვალისწინებული“.

ფოთის მერის მოადგილე გიორგი ფარეშიშვილიც დაინტერესებულია ისტორიული ორთქმავალის ბედით. მისი თქმით: „წლის ბოლო გახლავთ. შესაბამისად, რაიმე კონკრეტულ თანხაზე კონკრეტული საუბარი ძალიან რთული იქნება. უნდა შედგეს შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაცია. როგორც კი ეს გაკეთდება, გაირკვევა, რა თანხებზეა საუბარი. არსებული შესაბამისობიდან გამომდინარე, ჩვენი მიზანი გახლავთ მაქსიმალურად დროულად მოხდეს ერთი კარგი ადგილის შექმნა ქალაქში“.

ჩვენ რკინიგზის დეპარტამენტთანაც შევეცადეთ გაგვერკვია აღნიშნული საკითხი. როგორც დეპარტამენტში განგვიმარტეს ქალაქის ხელმძღვანელობიდან მართლაც მიუმართავთ წერილით დეპარტამენტისთვის, არა ორთქმავალის გადმოცემაზე, არამედ, მის შეკეთებაზე. „რამდენადაც ვიცი, კომუნიკაცია შედგა ფოთის მერის მოადგილესა და რკინიგზის დეპარტამენტის წარმომადგენელს შორის. როგორც წერილიდან ჩანს, მოთხოვნაა, ერთობლივად შეკეთდეს და ჩაუტარდეს რეკონსტრუქცია ელმავალს და ერთობლივად შეკეთების შემთხვევაში უნდა შეთანხმდნენ, რას გააკეთებს ქალაქის მერია და რას რკინიგზა. მერის მოადგილეს გიორგი ფარეშიშვილს უსაუბრია იმის თაობაზეც, რომ შეჯერდებოდნენ ქალაქის ხელმძღვანელობასთან, ანუ რისი გაკეთების საშუალება ექნებათ ქალაქის ბიუჯეტით. ასე რომ, რკინიგზის დეპარტამენტი ელოდება ფოთის მერიიდან პასუხს. რკინიგზის დეპარტამენტში არ შემოსულა მერიიდან წერილი, რომ საჩუქრად ჰქონოდა ქალაქს პირველი ორთქმავალი. თუ არის სურვილი, რომ გადაეცეს ქალაქს საჩუქრად, მაშინ ცალკე წერილი უნდა შემოვიდეს, ჩვენი მხრიდან არანაირი პრობლემა არ შეიქმნება“ - განაცხადა რკინიგზის დეპარტამენტის პრეს-ცენტრის წარმომადგენელმა თამარ დეკანოიძემ.

სად უნდა დაიდგას გადმოცემის შემთხვევაში პირველი ორთქმავალი და რას ფიქრობენ ამაზე ჩვენი თანაქალაქელები, ჩვენ ამ კითხვით მივმართეთ ფოთელებს:

ჟანა ჩაფიძე - „ნამდვილად არ მახსოვს, სად იდგა, მივესალმები, თუ ამ ისტორიული მნიშვნელობის მქონე ორთქმავლის აღდგენა მოხდება და დაიდგმება შესაფერის ადგილას, მაგალითად რკინიგზასთან“.

ედიკო გოგოლი - „ფოთი გამოირჩევა იმ უპირეტესობებით, რაც წამოწყებას, პირველობას ეხება. ძალიან ბევრი რამ ამ ქალაქით დაიწყო. ამიტომ არ უნდა დავკარგოთ ისტორია. აღდგეს და დაიდგას სიმბოლოდ რკინიგზის ტერიტორიაზე“.

სალომე კუპრეიშვილი - „ მე ვფიქრობ, რომ უნდა დაიდგას რკინიგზაში, რადგან თემატურად უფრო შეეფერება“.

გიორგი შონია - „გამიხარდება, თუ დაიდგმევა იმ ადგილას, სადაც ადრე იდგა, მე-16-ე სკოლის წინ“.



ᲨᲔᲩᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ 3-ᲒᲕ.

მული შეკეთება ხდება, თუმცა ესეც არასრულყოფილად, რადგან ქუჩების ნაწილი დღესაც გაუვალია. ადგილობრივ მთავრობას ამის მიზეზად წყალლარინების ქსელის რეაბილიტაცია მოჰყავდა. თუმცა, ზოგიერთ ქუჩაზე მიმდინარეობს კეთილმოწყობის სამუშაოები. თითქმის დამთავრების ეტაპზეა ფარნავაზ მეფის ქუჩის კეთილმოწყობა, რომლის ღირებულება 365 239 ლარია. სამუშაოებს აწარმოებს შპს „ემგეემი“.

საინტერესოა, კანალიზაციის პროექტის განხორციელების შემთხვევაში ფარნავაზ მეფის ქუჩაზე ახალდაგებული ფილები რა მდგომარეობაში აღმოჩნდება? მურვანიძის თქმით, კანალიზაციის პროექტის ხელშეკრულებაში ჩადებულია პუნქტი, რომლის შესაბამისად „კომპანია ქუჩებს სამუშაოს დაწყების პერიოდში არსებულ მდგომარეობაშივე მოიყვანს“.

ასევე მიმდინარეობს დიდების მემორიალის სარემონტო სამუშაოები. პროექტით გათვალისწინებულია მემორიალის სარემონტო სამუშაოები, ღობისა და ტროტუარის რეაბილიტაცია, ტერიტორიის კეთილმოწყობა, გარეგანათების სისტემის რეაბილიტაცია. სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და 67 523 ლარს შეადგენს. სამუშაოს ადგილობრივი კომპანია „ტოტალი“ ასრულებს.

გრძელდება მალთაყვის სანაპირო ზოლის მშენებლობა, რომელსაც საზოგადოების მხრიდან დღემდე არაერთგვაროვანი გამოხმაურება აქვს. ფოთელები ერთხმად თანხმდებიან, რომ პროექტი ხელს შეუწყობს ფოთის განვითარებას, მაგრამ სამუშაოების კეთილსინდისიერად შესრულების ნაკლებად სჯერათ. ხარვეზებს არც მურვანიძე უარყოფს: „ჩვენ არ გვაქვს ზედამხედველობა ამ სამუშაოებზე მაგრამ რამდენადაც ვიცი, იქ არის ბორდიურების, ბოძების, განათების პრობლემა, რომლის გამოსწორებაც ხდება. პროექტს ზედამხედველობას უწევს კომპანია „აუდიექსკორტი“, დღეისათვის მიმდინარეობს მეორე ეტაპის სამუშაოები.

როგორც იტყვიან, ყინული დაიძრა და იმედია, ამ პროექტებს მალე დასრულებული სახით ვიხილავთ.

ᲗᲕᲔᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲭᲘᲐᲜᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ „ᲔᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ„

ᲗᲔᲙᲚᲔ ᲛᲐᲭᲙᲐᲕᲐ
ᲤᲝᲗᲘ



ისტორია ეხება ქალს, რომელიც დღეს 21 საუკუნეა და ალბათ რასაც ახლა მოგიყვებით შეიძლება გასაკვირი ნამდვილად არ აღმოჩნდეს, რადგან სოციალური ფონი რომელიც ჩვენს ირგვლივ სუფევს ყველასათვის ნაცნობია. ქალბატონი, რომელზეც უნდა მოგითხროთ, წარმოშობით ჩხოროწყუდან გახლავთ და ფოთში გათხოვების შემდეგ აღმოჩნდა. იგი 20 წლის განმავლობაში საკუთარ ქალაქში დაეძებს საცხოვრებელ სახლს, სადაც თავს დაცულად იგრძნობს. როგორც დავარი თოლორდავა გვიყვება, მეუღლის ოჯახში ძალიან ბევრნი ცხოვრობდნენ. ამდენად, ოჯახი დატოვეს და ქირით გადავიდნენ საცხოვრებლად. ამის შემდეგ იწყება მის ცხოვრებაში უსასრულო ხეტიალი ბინიდან - ბინაში. მას ერთადერთი შვილი ყავს რომელიც უსიტყვოდ იზიარებს ოჯახის მდგომარეობას. მეუღლე ერთი წლის წინ გარდაეცვალა და ასე დარჩა დედა-შვილი გაუსაძლის პირობებში. ქალბატონი დავარი სოციალურად დაუცველი გახლავთ და მოგეხსენებათ, დახმარების იმედად ცხოვრება მარტივი ნამდვილად არ არის, თანაც არც ჯანმრთელობის მდგომარეობა აქვს სახარბიელო. როგორც თავად ამბობს, სასწრაფოდ საოპერაციო გახლავთ, მანამ კი აუცილებლად უნდა მიიღოს ექიმის მიერ დანიშნული მედიკამენტები, რაც მისთვის ძვირია და რომლის შესაძენად თანხა არ აქვს: „ 54 ლარი მჭირდება წამლების საყიდლად. ვიყავი აფთიაქში და დავაანგარიშებინე, ძალიან ცუდ

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ 5-ᲒᲕ.

მუნიციპალიტეტების დაფინანსების ახალი სისტემა ქალაში შევიდა

თეკლე მატკავა
ფოთი

ფინანსთა სამინისტროს ინიციატივით, 2019 წლიდან ადგილობრივი თვითმმართველობები გათანაბრებით ტრანსფერს აღარ მიიღებენ, საშემოსავლო გადასახადის ის მცირე ნაწილიც კი, რაც 2017 წლიდან ადგილობრივ ბიუჯეტებში რჩებოდა, 2019 წლიდან სრულად სახელმწიფო ბიუჯეტში გადაინაცვლებს, მუნიციპალიტეტებზე კი დღგ-ს სახით მიღებული შემოსავლების 19% გადანაწილდება. ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს მიერ მხარდაჭერის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტები დაფინანსების ამ წესზე 2019 წლიდან გადავლენ.

ყოველივე ამას წინ ერთვოდა საუბარი დეცენტრალიზებულ მმართველობაზე, თუმცა საუბარი საუბრად დარჩა. ეს ორი ცვლილება ერთმანეთთან დაკავშირებული გახლავთ, რადგან ადგილობრივ თვითმმართველობებს აძლევს კანონით მინიჭებულ დამოუკიდებლობას, თუმცა დამოუკიდებლობაზე საუბარი ჯერ ნაადრევია. დეცენტრალიზებული მმართველობის შემოღებამდე შეიცვალა თვითმმართველობების დაფინანსების მიმართულება. კერძოდ, ადგილობრივ თვითმმართველობებს გათანაბრებითი ტრანსფერი არ მიეცემა. რას ნიშნავს გათანაბრებითი ტრანსფერი –ეს თვითმმართველი ერთეულის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი საკუთარი საბიუჯეტო შემოსულობაა. მისი მიზანია სხვადასხვა ადგილობრივი თვითმმართველობების საკუთარ უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის ფინანსური რესურსების გათანაბრება. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის" თანახმად, გათანაბრებითი ტრანსფერი არის საკუთარ უფლებამოსილებათა განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან კოდექსით დადგენილი ფორმულის შესაბამისად გამოყოფილი თანხები, რომელთა გამოყენების მიმართულებებს დამოუკიდებლად განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო.

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" დაინტერესდა, რა გავლენას იქონიებს ქალაქის ბიუჯეტზე ეს სამომავლო ცვლილება. მერიის საფინანსო, საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ნანა ჭანტურიამ ჩვენთან საუბრისას კანონის მიღების შემდეგ ქალაქში მოსალოდნელ ტენდეციებზე გააკეთა აქცენტი: „მოგეხსენებათ, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, საბიუჯეტო კოდექსში დაგეგმილი ცვლილებების თანახმად, 2019 წლიდან გათანაბრებითი ტრანსფერის და საშემოსავლო გადასახადის ნაცვლად, მუნიციპალიტეტების საკუთარ შემოსავლად განისაზღვრა განაწილებული დამატებითი ღირებულების გადასახადი, რომლის განაწილება მოხდა „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში" ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტით განსაზღვრული 71-ე და 114 -ე მუხლების შესაბამისად. 2019 წელს პროგნოზირებადი დამატებითი ღირებულების გადასახადის 19 % შეადგენს 946 580,0 ათას ლარს, საიდანაც ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2019 წელს მიემართება გასანაწილებელი დამატებითი ღირებულები გადასახადის 0, 36 %, რაც ნომინალურ გამოხატულებაში საორიენტაციოდ შეადგენს 3 368, 5 ათას ლარს, რომელიც დაკორექტირდება დღგ -ს საკასო შემოსავლის მიხედვით. ამასთან, საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის საშუალედოვანი პროგნოზებისა და საბიუჯეტო კოდექსის პროექტით განსაზღვრული რეგულაციების გათვალისწინებით, ფოთის მუნიციპალიტეტისათვის 2020-2022 წლებში მისაღები დამატებითი ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 2020 წელს - 4 248, 1 ათას ლარს, 2021 წელს - 5 310, 2 ათას ლარს, ხოლო 2022 წელს - 6 637, 7 ათას ლარს. რაც შეეხება დინამიკას, 2018 წელს გათანაბრებითი ტრანსფერის სახით ქალაქმა მიიღო 118 ათას 800 ლარი, საშემოსავლო გადასახადი დაგეგმილი იყო მილიონ 600 ათასი ლარით და სრულდება, ხოლო, ახალი რეგულაციით უნდა მივიღოთ 3 მილიონ 398 500 ლარი. ეს არის შემოსავალი დამატებითი ღირებულების გადასახადიდან, რაც წინა წლებთან შედარებით გაზრდილი არის 679 700 ლარით".

უფრო თვალსაჩინოებისთვის განვმარტოთ, ვინ არის დღგ-ს გადამხდელი - პირი, რომელიც რეგისტრირებულია ან ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში დღგ -ის გადამხდელად. ასევე, დამატებითი ღირებულების გადასახადის გადამხდელად ითვლება არარეზიდენტი (გარდა საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირისა), რომელიც ეწევა მომსახურებას საქართველოში დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციისა და საქართველოში საგადასახადო აღრიცხვაზე მყოფი არარეზიდენტის.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილების შესახებ და რამდენად მომგებიანი კანონპროექტია ქალაქებისთვის,მოსაზრება ახალგაზრდა ეკონომისტსა და დამწყებ ბიზნესმენს გიორგი გვასალიას ვთხოვეთ: „მე, პირადად, დეცენტრალიზებული მმართველობის მომხრე ვარ. თუ რატომ, მარტივი მაგალითის მეშვეობით აგიხსნით და შედარებით ავსახოთ მოცემულობა. ვთქვათ, მე ვარ დაქირავებული მუშახელი და ხელფასს კომპანია თანამშრომლებს გვიხდის პრინციპით - რამდენსაც ყველა გამოვიმუშავებთ, იმას ყოფს დასაქმებულთა რაოდენობაზე. ამ დროს მე, შესაძლებელია, სხვებთან შედარებით 8 - ჯერ მეტი გამოვიმუშავო და მაინც იმდენი მერგო, რამდენიც სხვებს. ეს მიდგომა ნამდვილად დამაკარგვინებს ხალისა და მოტივაციას, შემდეგ თვეში აუცილებლად ნაკლებს ვიმუშავებ. ერთი ერთში შეგიძლიათ ეს შედარება გამოვიყენოთ პასუხის გასაცემადაც. თუმცა. თუ ამ ცვლილებას რაიმე სხვა შეღავათებს და პირობებს არ მიაყოლებენ, შესაძლოა, ამ ყველაფერმა გამოიწვიოს მდიდარი რეგიონების უფრო გამდიდრება და ღარიბების უფრო გაღარიბება. რეალურად, ცვლილება მისასალმებელია, თუმცა სხვა ქმედებებიც საჭიროა, რაც ხელს შეუწყობს ამ ცვლილებების უკეთ ამუშავებას".

ოპოზიციონერ დავით ხომერიკს სულ სხვა მოსაზრება აქვს ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. მისი აზრით, ეს გახლავთ ერთი ჯიბიდან ამოღება და მეორეში ჩადება: „კონსტიტუციის მესამე მუხლში წერია, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს რეგიონის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, ეს მუხლი აღებულია კონსტიტუციიდან და წერია ადგილობრივი ბიუჯეტის შესახებ კანონში. ამ მუხლზე დაყრდნობით კეთდება გათანაბრებითი ტრანსფერი, ეს ნიშნავს, რომ ფოთში მესტიაში, ხარაგაულში, სიღნაღში ერთნაირი პირობებით უნდა იცხოვროს ადამიანმა. ეს მოხსნეს და დატოვეს მხოლოდ დღგ ქალაქში, რომელიც გადაანაწილეს და მთლიანი 19 %- დან ფოთს მხოლოდ 0.36 % დარჩა. რომელი უფრო მომგებიანია? ფიზიკური პირის საშემოსავლო 3 მილიონ ნახევარი იყო მარტო გათანაბრებითი ტრანსფერის გარეშე. გათანაბრებითი ტრანსფერის ფორმულა არსებობს და ამ ფორმულით იღებენ თანხას. ბოლოს იყო მილიონ 600 ათასი ლარი, როგორც ვიცი, მაგრამ 2017 წელს ფიზიკური პირებიდან საშემოსავლო გადასახადი ადგილობრივ ბიუჯეტში შემოვიდა სამ მილიონ ნახევარი ლარი, 2017 წელს მილიონ ნახევარი ლარი და მილიონ ოთხასი ლარი, მოხდა კლება. იცით რატომ? ადგილობრივ თვითმმართველობას არ ქვს ადმინისტრირების, ამოღების ბერკეტები. ვერ აკონტროლებს შემოსავლებს, რადგან ვიღაც „თბილისელი ბიძა" თბილისიდან განაგებს. ასევე იქნება დღგ-სთან დაკავშირებითაც, მითუმეტეს, რომ აზრი არ აქვს დღეგ-ს დატოვებას ფოთში, რადგან ამ ქალაქში, ძირითადად, არის საერთაშორისო გადაზიდვის კომპანიები, რომლებიც არ იხდიან დამატებითი ღირებულების გადასახადს, არ იბეგრებიან. უბრალოდ, ადგნენ და გადაანაწილეს ეს პროცენტი, საიდანაც ფოთს 0,36 შეხვდა, ერთი და იგივე ციფრი დასვეს, რაც იყო საშემოსავლო და გათანაბრებითი ტრანსფერის დროს, ეს იყო წინასაარჩევნო ფანდი ხელისუფლების მხრიდან"..

2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით უკვე განსაზღვრული გახლავთ, რომელი მუნიციპალიტეტი რა ოდენობის თანხას მიიღებს. კრიტერიუმები ცნობილია. კერძოდ, მუნციპალიტეტებისთვის განკუთვნილი თანხის განაწილება მოხდება მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით.

როგორც საუბრიდან ირკვევა, ეს ინიციატივა ფოთის ბიუჯეტისთვის ძირეულ ცვლილებებს არ ახდენს. უფრო სასურველი იყო მთავრობას საშემოსავლო გადასახადი დაეტოვებინა ქალაქის ბიუჯეტისთვის, ფოთელებს კარგად ახსოვს როცა წლების წინ საშემოსავლო გადასახადი რჩებოდა ადგილობრივ ბიუჯეტში, რამდენად რენტაბელური იყო ის.

თვეობით გაჭიანურებული ,,ეს დღეები,,

დასაწყისი 4- გვ.

დღეში ვარ. ვის მივმართო დახმარებისთვის, აღარ ვიცი".

სახლი, სადაც დღეს ის და მისი შვილი ცხოვრობენ, პირობითად შეიძლება მას სახლი უწოდო, კოსტავას №7 ნომერში, კორპუსის პირველ სართულზე მდებარეობს, არ გახლავთ საცხოვრებელი ფართი და არც არანაირი პირობაა შექმნილი, რომ ადამიანმა ნორმალურად იცხოვროს და თავი იგრძნოს დაცულად. ეს ოთახი ქალაქმა ხუთი წლის წინ გადასცა და როგორც თავად ირწმუნება, დახმარებას დაპირდნენ, მაგრამ არავის გახსენებია ამ დაპირების შესრულება.

მეზობლებიც მის გაუსაძლის მდგომარეობაზე გვესაუბრნენ: „ ძალიან მეცოდება ეს ოჯახი, როგორ შეიძლება ასე ცხოვრობდეს ადამიანი, კარიც კი არ იკეტება ნორმალურად, იატაკი არა, არც ჭერი, არც ნორმალური საყოფაცხოვრებო ნივთები, უკაცრავად და საპირფარეშოც კი არ ქონდათ, ახლა გააკეთეს რაღაც გარეთ".

თოლორდავას მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა ქალაქში ზაფხულის ბოლოს წვიმების შემდეგ. როგორც თავად გვიხსნის ღამის სამის ნახევარზე ძლიერი წვიმის შედეგად ჭერი ჩამოენგრათ. მიუხედავად იმისა, რომ პირველ სართულზე ცხოვრობს, ეს შედეგი მას მაინც დაუდგა. ჩვენ ადგილზე გავეცანით მის მდგომარეობას და ნანახმა ნამდვილად შეგვძრა. თვალში მოგვხვდა ე.წ ასფალტის ნატეხები, რომელიც უსწორმასწოროდ ეყარა იატაკზე: „ ეს ნატეხები ქალაქმა მომცა რომ ამემაღლებინა იატაკი, კიდევ დამპირდნენ დახმარებას, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი ჩანს. დიდი ხანია ყველამ იცის ჩემი მდგომარეობა. მუნიციპალიტეტიც საქმის კურსშია, ჩვენ ცენტრის უბანს ვეკუთვნით. დამპირდნენ 300 ლარის ჩარიცხვას, მაგრამ მატყუებენ. მცირე თანხას მპირდებიან და ამასაც ვერ, ან არ მირიცხავენ. რა გაუჭირდა მერიას ასეთი? ერთ თვეზე მეტია, ჩამოვარდა ჭერი. კიდევ კარგი ჩემი შვილი სახლში არ იყო, თორემ საშინელება დამემართებოდა. შეიძლება ასეთი გულგრილობა ადამიანების მიმართ? ზამთრის მოსვლის მეშინია, აქ როგორ უნდა გავთბეთ, ყველა მხრიდან ქარი შემოდის"–გვითხრა თოლორდავამ.

წლებია, შიშსა და უიმედობაში უწევს ცხოვრება მარტოხელა დედას, რომელიც მხოლოდ იმიტომ ცოცხლობს და წვალობს, რომ ერთადერთი შვილის კარგად ყოფნას უყუროს და მაინც არ კარგავს იმედს, რომ ერთ დღეს შვილის თვალებში სიხარულს დაინახავს.

ჩვენ შევეცადეთ მერიაში გაგვერკვია დაპირებული დახმარება რატომ გვიანდებოდა, სადაც ქალაქის ხელმძღვანელობამ თანხის ჩარიცხვასთან დაკავშირებით მოკლე პასუხი გაგვცა - „ამ დღეებში". ეს დღეები კი მოგეხსენებათ, რა სწრაფად და დაუნდობლად მიქრიან. ზამთარიც ახლოვდება და თო-

ლორდავას მდგომარეობა კი დღითიდღე მძიმდება.

p.s სტატია დასაბეჭდად გამზადებული გახლდათ, როდესაც გავარკვიეთ, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ თოლორდავების ოჯახს უკვე ჩაურიცხა დაპირებული დახმარება 300 ლარის ოდენობით.

№24 5-12 ნოემბერი 2018წელი

სიყვარულით განვლილი ნახევარი საუკუნე

თეკლე მატკავა
ფოთი

ქართული ფოლკლორის ამაგდარმა, ღირსების ორდენოსანმა ბატონმა იროდი ტიკარაძემ სულ ახლახან ოქროს ქორწილი გადაიხადა. მან თავის უმშვენიერეს და უსაყვარლეს მეუღლესთან ერთად სიყვარულით და ურთიერთპატივისცემით განვლილი ნახევარი საუკუნე საყვარელ ადამიანებთან ერთად აღნიშნა. ამდენხნიანი თანაცხოვრების შემდეგაც, როგორც ამბობს, დღესაც ისევ ისე უცემს გული თვალგიშერა მაყვალას დანახვისას, როგორც შეყვარებულობის პერიოდში, დღესაც ისევ ისე ხელიხელჩაკიდებულები ეზიდებიან ცხოვრების

ჭაპანს და ისევ ისე უმღერიან ერთმანეთს, როგორც სტუდენტობისას. სასიამოვნოა, როცა ხედავ ადამიანებს, რომლებსაც 50 წლიანმა თანაცხოვრებამ ვერ გაუხუნა სიყვარული, პირიქით, უფრო გაიზარდა და განაზდა.

ქორწილში სიძე-პატარძალმა წითელ ხალიჩაზე გაიარა ფეიერვერკების, ჩოხოსანი ვაჟკაცების ხანჯლების და „ვისია, ვისია, ქალი ლამაზი“ სიმღერის ფონზე, რომელიც ანსამბლმა „ფაზისმა“, ჩვეულებისამებრ, უბადლოდ შეასრულა. წყვილს მეჯვარეების შემდეგ მოჰყვებოდნენ შვილები, შვილიშვილები, სიძეები და ოჯახის ახლობელ-ნათესავები.

დარბაზში შესულთ მორიგი სიურპრიზი ელოდათ. კედელზე გამოკრულ ბანერზე წყვილის განვლილი ცხოვრების ყველაზე შთამბეჭდავი ფოტოები იყო აღბეჭდილი, რომელიც ბედნიერ წლებს მოაგონებდათ. სპეციალურად ამ დღისათვის გაშლილ სადღესასწაულო სუფრაზე საიუბილეო რქაწითელსაც მათი სურათი ამშვენებდა.

უჩვეულოდ წარიმართა სუფრაც, სრულდებოდა სუფრული სიმღერები, ტიკარაძეების მომღერალმა ოჯახმა და პატარძალმა არაჩვეულებრივად შეასრულეს სიმღერა სატრფიალო. შვილიშვილებთან ექსპრომტად შესრულებულმა სიმღერებმა კი ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბა. ქართული ცეკვები შეასრულეს ქ-ნმა მაიკომ მოცეკვავე ქალიშვილ ნიასთან ერთად. ანსამბლი „ფაზისი“ ყოველ სადღეგრძელოს ჩვეული მრავალხმიანობით ამშვენიერებდა. ყველა ზეიმობდა და იზიარებდა ამ ერთობ თბილი ოჯახის სიხარულსა და ბედნიერებას.

განსხვავებული იყო საჩუქრებიც. ფოთისა და ხობის ეპარქიის მიტროპოლიტმა მეუფე გრიგოლმა ბ-ნ იროდის და ქ-ნ მაყვალას ამ სამახსოვრო დღის აღსანიშნავად ღვთისმშობლის ხატი გამოუგზავნა. ფოთის მერის მოადგილემ გიორგი ფარეშიშვილმა ბ-ნ იროდის გადასცა ნიკო ნიკოლაძის მედალიონის ასლი, რომელიც ნიკოს 175 წლის იუბილის აღსანიშნავად მოიჭრა. გარდა სიძის მიერ მირთმეული ბეჭდისა, შვილებმა ირმამ და მაიკომ მშობლებს ქორწინების სამახსოვროდ გულზე ჩამოკიდეს მედლები წარწერით „საუკეთესო მეუღლეს - 50“.

სუფრას არც ულამაზესი ტორტის გარეშე ჩაუვლია. ტრადიციულად წყვილმა ერთად გაჭრა ტორტი და ერთმანეთს პირი ჩაუტკბარუნა. ოვაციებისა და ოქროსფერი კონფეტის ფონზე სიძე-პატარძალმა ნელი ვალსიც შეასრულა.

ჩვენ დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ვუერთდებით მოლოცვებს. მრავალჟამიერ ბ-ნო იროდი და ქ-ნო მაყვალა! ოქროს ქორწინებას გილოცავთ! ღვთის წყალობას, ჯანმრთელობას და ბედნიერ სიბერეს გისურვებთ!

ბლიც ინტერვიუ

ია როგავა: „მოდი ახლა ამ ყველაფერს პოზიტიურად შევხედოთ“

ივეტა პაჭკორია
ფოთი

მინი დოსიე

დავიბადე და გავიზარდე ფოთში, პროფესიით ვარ ფსიქოლოგი, ნეირო ლინგვისტური პროგრამირების სპეციალისტი, ჯანდაცვის მენეჯერი და ფოტოხელოვანი, ბედნიერი ვარ იმით, რომ გახლავართ ფაზისის საერო სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი და ამჟამად ვმუშაობ არტ გალერეა 34-ში, რომელიც თავად დავაფუძნე.

– დაახასიათეთ საკუთარი თავი სამი სიტყვით...
– მეოცნებე, ხელოვნების მოყვარული და უზომოდ პატრიოტი
– საიდან იწყება თქვენთვის დედამიწა
– სიცოცხლით
– შენი თვალით დანახული ქალაქი
– უდიდესი ისტორიის მქონე, თბილი ხალხით სავსე და ყველაზე ლამაზი ჩემი პატარა ქალაქი
– მიზანი .
– მეტი სიხარული მივანიჭო ირგვლივ მყოფ ადამიანებს
– მიღწევა
– ჩემს ყველაზე დიდ მიღწევად ვთვლი სამეცნიერო კვლევას ჩვენი ერის და კულტურის სიძველის შესახებ, რომელზეც რამდენიმე წელი ვმუშაობდი, უკვე დავასრულე და მალე გამოვცემ წიგნად.
– ჰობი
– შავ-თეთრი ფოტოგრაფია
– ოცნება
– შევქმნა რაღაც ახალი
– ღირსება და ნაკლი
– ღირსება - სიკეთე
ნაკლი - ვარდისფერი სათვალიდან ყურება...
– ქველმოქმედება და თქვენ?
– ძალიან მიყვარს ქველმოქმედება, ჩემი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია
– ტყუილი და თქვენ
– საშინლად მაღიზიანებს ტყუილი, მხოლოდ კეთილი მიზნით მიწევს მისი გამოყენება, რომ კონკრეტულ შემთხვევებში ადამიანებს გული არ ეტკინოს.
– რისი გეშინიათ
– სიბერის
– რამ შეიძლება აგაყვიროთ
– იმის დანახვამ, რომ ვიღაცას ჩაგრავენ
– აკვიატებული ფრაზა
– „მოდი. ახლა ამ ყველაფერს პოზიტიურად შევხედოთ“
– რამდენად აზარტული ხართ
– საერთოდ არ ვარ აზარტული
– საყვარელი სასმელი
– ამერიკანო და წითელი ღვინო, კონკრეტულად ქინძმარაული
– კერძი, რომელსაც საყვარელ მამაკაცს მოუმზადებთ
– კრევეტების და რვაფეხების სალათი
–წიგნი, რომელიც ბოლოს წაიკითხეთ.
– მეგრული პოეზიის ანთოლოგია
– როგორი მეგობარი ხართ
– დაუღალავი და მუდამ გვერდში მდგომი
– ღალატი
– დაუფასებლობა და უპატივცემლობა
– სიყვარული
– მთელი სამყარო, სიცოცხლის აზრი, ღმერთი, ბუნება, ჩემი პლანეტა, ფრენა
– რას შეცვლიდით ცხოვრებაში
-არაფერს
– ოჯახი
– საოცარი ოჯახი მყავს. ყველაფერში რომ მიგებენ და მუდამ გვერდში მიდგანან. ჩვენ ერთი გუნდი ვართ, ჩვენთვის გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს. იმიტომ, რომ ერთმანეთი ძალიან გვიყვარს და ვაფასებთ
– თქვენ 20 წლის შემდეგ
– 20 წლის შემდეგ ისევ ჩემს ქალაქში წარმომიდგენია თავი და ისევ ხელოვნებასა და მეცნიერებაში ჩაფლული.. სხვა ცხოვრება არ მინდა და არც სხვაგან ყოფნა
– რას ნანობთ
– საკმარისი ყურადღება და სითბო ვერ დავუთმე იმ საყვარელ ადამიანებს, რომლებიც ჩემთან აღარ არიან, სამწუხაროდ... როცა ადამიანები აღარ არიან ჩვენს გვერდით, არასდროს გვყოფნის და არასდროსაა საკმარისი ჩვენს მიერ გაცემული სიყვარული, მეტი შეგვეძლო.. სამწუხაროდ, გვიან ვხვდებით... ამიტომ, მეტი სითბო მივცეთ მოხუცებს...
– მხატვარი რომ იყოთ, რას დახატავდით?
– ფიქრებს
– კითხვა, რომელსაც საკუთარ თავს დაუსვამთ
– „ია, კიდევ რას მოიფიქრებ ახალს?“
– გრძნობა, რომელიც ამ წამს გაქვთ
– შემართება და იმედი -

ლეონჯი მროველი: „ურიანი ურიცხვნი ნათესავნი (!!!) ქართლსა შინა.„

„ოცადაექვსი საუკუნის მანძილზე ცხოვრობენ საქართველოში ებრაელები. იმ დროიდან მოკიდებული, რაც ბაბილონის ტყვეობის შემდეგ ნაბუქოდონოსორისაგან დევნილი მათი ნაწილი ქვეყნიერებაზე დაიფანტა და ერთი ჯგუფი იბერიელებმა შეიფარა, მათ არასოდეს უგრძვნიათ თავი უცხოდ ამ მიწაზე. კიდევაც მეტი, ქართველ ხალხს იმდენად შეეთვისნენ და შეეხმატკბილნენ, რომ საკუთარ ეროვნებას მათიც ზედ დაურთეს და „ქართველ ებრაელად“ იწოდნენ. საუკუნეების მანძილზე თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ ორივე ერის სახელსა და ღირსებას. თვისტომის თავს მოწეული მრავალი განსაცდელის ჟამს ისინი მთელ მსოფლიოს ანცვიფრებდნენ მათი მეორე სამშობლოს მკვიდრებთან ძმური თანაცხოვრებითა და მასპინძლების დიდსულოვნებით...“

“...თავისი ნაშრომის დასასრულ კირიონი დაასკვნის: „კვართი ღმერთკაც იესო ქრისტესი, ჩამოტანილი ივერიის ძველ დედაქალაქ მცხეთაში, ქართველ ებრაელთა მთავრის – ელიოზის მიერ, იყო პირველი საღმრთო კურთხევა მოწამეობრივი საქართველოსათვის, და უეჭველი წინდიც იმისა, რომ უფალი მარადის შემწე და მფარველი იქნება იმ ნეტარი ქვეყნისა, რომელიც წილად ხვდა მოქცევა–განათლებისათვის მის ყოვლადწმინდა დედას – მარადის ქალწულ მარიამს...“

„... ეს კვართი რომაელი მეომრებისგან სწორედ ქართველმა ებრაელებმა შეიძინეს საქართველოსათვის! როგორც ვხედავთ, უსაზღვროა ქართველი ებრაელების ღვაწლი ქართველი ერისათვის იმ სამარადისო საღმრთო მადლის მინიჭებაში, რომელიც საქართველოში მაცხოვრის კვართის დავანებას უკავშირდება– აკი სწორედ ქართველმა ებრაელებმა – ელიოზმა და ლონგინოზმა – ჩამოიტანეს ეს კვართი იერუსალიმიდან!“ /ამონარიდები გიორგი ერი'შვილის სტატიიდან/. ქართველი მეფეებიც ხომ ბიბლიური დავითის შთამომავლებად იწოდებოდნენ. იქნებ მომავალმა თაობებმა მართლაც შეძლონ იმის დადგენა, რომ ერთი ან მონათესავე ტომისანი ვყოფილვართ, ვინ იცის რა ისტორიულ გარემოებათა გამო, ერთ დროს ერთმანეთს დაშორებულნი და უფლის განგებულებით, კვლავ ერთმანეთის მძებნელნი და მპოვნელნი!

მოდით, ეს გამოცანა ამოსახსნელად შთამომავლობას დავუტოვოთ მე კი, ამ მოკრძალებული ნარკვევით, მინდა შორიდან მოვეფერო ქართველ ებრაელებს, ცოცხლებს და აწ უკვე გარდასულთა სულებს.

ახლოს გულში

–დეეე, ინგა მალე ხომ არ წავაააა? – ეს მე ვარ.

–არა, შვილო.

–აბა, ინგამ რომ თქვა, მალე წავალთოოოო?

–არ არის ასეთი ადვილი ისრაელში წასვლა.

დედამ იცის

დიდებმა ყველაფერი იციან...

არაფერიც არ იცის ინგამ!

ცხრა წლისაა, ჩემსავით და აბა, საიდან უნდა იცოდეს ასეთი „დიდური“ ამბები, იმ დღეს რომ მითხრა, მალე წავალთო?!.

ინგა ჩემი მეზობელი და მეგობარია...

ინგა ებრაელია, ჩვენი, ქართველი ებრაელი...

ის ძალიან ლამაზად, ოდნავი წამღერებით, წარმოთქვამს სიტყვებს და ზოგიერთ მათგანს ბოლო თანხმოვანს აკლებს...

ზოგჯერ მეც ვცდილობ, ინგასავით ვილაპარაკო და ამ დროს, დედას სახეზე ღიმილს ვიჭერ...

კიდევ, ინგა არ ჭამს ღორის ხორცს...

ჩვენ ჩემთან ვართ, სახლში და დედამ სადილად დაგვსხა; თან მკაცრად გამაფრთხილა: როდესაც მეგობრის გამასპინძლებას მოინდომებ, ჯერ მე მკითხე ან ბებიას– ბავშვს თავისი რჯულის წესი არ დაარღვევინოო

მე ვერ გავიგე, რას ნიშნავს „რჯულის წესი“, მაგრამ ვიცი, რომ ისე უნდა მოვიქცე, როგორც მითხრა დედამ...

დედამ კიდევ მითხრა, რომ ინგას ერს, ანუ ებრაელებს აქვთ თავიანთი ადათი, რომელსაც ჩვენ– ქრისტიანები დიდ პატივს ვცემთ და მე ვხვდები, რომ ადათია ისიც, ინგა რომ „შაბათზე“ განსაკუთრებულად საუბრობს და კიდევ ბევრი სხვა რამ არის ებრაელთა ადათი...

კიდევ: ისრაელზე საუბრობს ინგა განსაკუთრებულად!..

ყოფილა თურმე ასეთი ქვეყანა, რომელიც ყველა ებრაელის სამშობლოა...

ამ დროს სულ სხვანაირი უხდება სახე- მეოცნებე...

მე არ ვიცი, სად არის ისრაელი, მაგრამ როგორც ის მიყვება, საოცარი ქვეყანაა, სადაც ყველაფერი ზღაპრულად ლამაზია! ..

მეც ვოცნებობ ამ ქვეყანაზე...

ინგას გონია, მალე წავა ისრაელში, მშობლებთან ერთად არაფერიც! დედამ ხომ თქვა, იქ წასვლა ასეთი ადვილი არ არისო!..

აი, დიდები რომ ვიქნებით, მერე ერთად წავალთ იქ მე და ინგა...

მაგრამ ისრაელში რომ მხოლოდ ებრაელებს უშვებენ და მე რომ ებრაელი არა ვარ?!!!

არა უშავს, როდესაც გავიზრდებით, რამეს მოვიფიქრებთ...

ებრაელები არიან: ინგას დედა–დეიდა რივა, მამა–ბიძია ფილხაზი და უფროსი ძმა–ზურიკო...

ებრაელები არიან: დეიდა თინა და ბიძია აბრამი და მათი შვილები, დალი და რობერტი...

რობერტი, მგონი ყველა ჩემს მეზობელ ბავშვზე უფროსია. ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ, ძალიან სერიოზულია და იმიტომ; თან ჯოხით დადის, დიდი, გრძელი ჯოხით, აი ისეთით, ასაკოვანი კაცები რომ დადიან – ფეხები სტკივა რობერტის... იმდენ საინტერესო ამბავს გვიყვება და გამოცანებსაც ისე სახალისოდ გვისვაამს!..

დალი კი მშვიდი, წყნარი გოგოა და ისეთივე ღიმილიანი, როგორც დეიდა თინა და ბიძია აბრამი...

რობერტიც, დალიც და მათი მშობლებიც ინგას სადარბაზოში ცხოვრობენ, მეხუთე სართულზე...

ძმებიც, იაკობი და შალიკო ქართველი ებრაელები არიან. ისინიც ინგას სადარბაზოში, პირველ სართულზე ცხოვრობენ...

იაკობი ჩემი ტოლია. ერთად ვთამაშობთ. შალიკო კი ცოტათი ჩვენზე უფროსია და თითქმის არასდროს არ გვეთამაშება ან – ძალზე იშვიათად.

იაკობი კეთილი და უბოროტო ბიჭია.

უფროსი და–ძმაც ყავთ იაკობს და შალიკოს: ნაზიკო და აბული.

მათი დედა- დეიდა ხავა, ქვრივია და სულ სამსახურშია.

აბულიც სულ მუშაობს...

„ძალიან მშრომელი და კარგი ბიჭია“–ო, ასე თქვეს აბულიზე ერთხელ, ბიძია კაკომ და ბიძია ხიტუმ.

სახლში მხოლოდ ნაზიკოა. როცა შალიკოს და იაკობს ელაპარაკება, რატომღაც სულ შუბლშეკრულია, ჩვენ კი გვიღიმის და გვეფერება...

კიდევ: ჩვენი მშობლებივით, სწორედ მაშინ ეძახის იაკობს სამეცადინოდ, როდესაც ძალიან გართულები ვართ თამაშით...

არა რა, ამ დიდებს თამაშისა ნამდვილად არაფერი გაეგებათ!..

რა საინტერესო ბინა აქვს იაკოოობს! აი, რაღაცნაირად საინტერესო...

ნუუუ, მე ასე მგონია, ყოველ შემთხვევაში...

თითქმის მთელს კედელზე, მამაკაცის სურათი კიდია, დიდ, შავ ჩარჩოში ჩასმული. ეს იაკობის მამაა, დეიდა ხავას გარდაცვლილი მეუღლე.

დეიდა ხავას სულ მუქი ტანსაცმელი აცვია და ძალიან ნაღვლიანია, მაგრამ ჩვენ ყოველთვის თბილად გველაპარაკება, როცა იაკობთან ვართ სტუმრად.

იცით, როგორი გემრიელი, ბლომად ნივრისგემოიანი, კარტოფილის და ლობიოს ღვეზელები იცის დეიდა ხავამ და კიდევ – უუუგემრიელესი თაფლიანი ქადები?! არა, არა, ასეთი მართლა არაფერი გექნებათ გასინჯული!

კიდევ ერთი ქვრივი ცხოვრობს ინგას სადარბაზოში, მეოთხე სართულზე, დეიდა ლიზა. მას სამი შვილი ყავს: იზო, მანანა და თამაზი. ისინიც ჩვენი, ქართველი ებრაელები არიან.

ძალიან ლამაზი გოგოა იზო!

-„დახატული გოგო გყავს, ლიზა, დახატული!“– ასე ეუბნებიან ხოლმე ნაცნობები დეიდა ლიზას და ისიც იბადრება

იზო ჩემზე ბევრად უფროსია და სულ მიღიმის, როცა ვესალმები, ზოგჯერ მესაუბრება და მეფერება კიდეც...

თამაზიც დიდი ბიჭია, ჩემს უფროს ბიძაშვილთან ერთად სწავლობს სკოლაში და ძალიან კარგად თამაშობს ფეხბურთს; თენგომ თქვა ასე, ჩემმა ბიძაშვილმა...

მანანა შალიკოს ტოლია, მაგრამ როცა ვთხოვთ, თითქმის არასდროს გვეუბნება უარს და ჩვენთან ერთად თამაშობს „სახლობანას“...

მანანა ჩვენი „დედაა“ და ჩვენც ვუჯერებთ „დედას“...

ხან ჩემთანაა „ჩვენი სახლი“, ხან – ინგასთან, ხან – იაკობთან, ხანაც – მანანასთან...

ბიჭებიც თამაშობენ ჩვენთან ერთად, ჩვენზე ბევრად უმცროსი ალიკა და მისი ძმა, ალბერტი, ზოგჯერ – იაკობიც...

ძალიან ხათრიანია იაკობი და უარს ვერ ეუბნება მანანას, როცა ის „სახლობანას“ სათამაშოდ ეძახის : ჩვენი მოგონილი სიუჟეტის მიხედვით, ხომ ხან „მამა“ გვჭირდება, ხან „უფროსი ძმა“ და იაკობიც ირგებს ამ როლებს, თუმცა – უხალისოდ; ერთი სული აქვს, ეზოში გავარდეს ბიჭებთან ან ჩვენ აგვიყოლიოს „წრეში ბურთის“, „დამალობანას“ ან „ომობანას“ სათამაშოდ...

ხან გამოსდის, ხან არა ჩვენი გადაბირება...

მანანა ზოგჯერ „სადილსაც“ გვიმზადებს „შვილებს“ და ჩვენც გემრიელად მივირთმევთ ამ საოცარ შეჭამანდს...

არა , მართლა მივირთმევთ, არა გჯერააათ?!

ნუუ, თუ არ გჯერათ, თქვენი ნებაა!..

ჩვენ კი სიამოვნებით გეახლებით, წვრილ კუბიკებად დაჭრილ პურთან არეულ, ასევე წვრილად დაჭრილ სულეგუნის ყველსა და ხორციან, ვარდისფერ პომიდორს...

მშობლები არასოდეს გვიშლიან „მანანას სადილის“ ჭამას, რადგან ყველაფერს ზედმიწევნით აკონტროლებენ.

აი, როდესაც ეზოში ვთამაშოოობთთ!!! იწყება, მაგრამ რა იწყება!!!

მაინცა და მაინც გაფენილ სარეცხთან გვინდება „წრეში ბურთის“ თამაში და ქათქათა თეთრეული, რამდენიმე წუთში, თავიდან გასარეცხი ხდება...

მერე „მარუსიას გარაჟისკენ“ ვინაცვლებთ და „დახუჭობანას“ თამაშს ვიწყებთ...

თქვენ არ იცით, რა მაგიური ხიბლი აქვს „მარუსიას გარაჟს“!..

ეს, ჩვენს უბანში, მგონი ერთადერთი ავტოფარეხია, აქეთ–იქეთ ყვავილების გაზონითა და ორი დიდი ოლეანდრის ბუჩქით, რომელიც ქალაქში ერთ–ერთ პირველ მძღოლ ქალბატონს – დეიდა მარუსიას ეკუთვნის...

ამ „გარაჟის“ წინ, ჩვენი მეზობელი „საშა ფოტოგრაფის“ გადაღებულ ფოტოს ხომ ჩვენი ეზოს ყველა ბავშვის საოჯახო ალბომში აქვს მიჩენილი „საპატიო ადგილი“!

როდესაც გოგონები „კლასობანას“ თამაშს ვიწყებთ, ბიჭები „გარაჟის“ უკან, თავიანთ „საიდუმლო შტაბში“ იყრიან თავს, სადაც „გოგოებს არაფერი ესაქმებათ“ და იქ ცოცხალი თავით არ გვიშვებენ...

იმათ რა იციან, როგორ გვინდა გავიგოთ, რა არის ასეთი ეს „შტაბი“?!!

„დიდი რისკის ფასად“, მაინც ვახერხებთ იქ ჩუმად შეპარვას და რას ვხედავთ: „ბრეზენტის“ ნაჭერში საგულდაგულოდ გახვეულ, ხისა და პლასტმასის რამდენიმე სათამაშო თოფს, ზემოდან ასევე საგულდაგულოდ, ხის ტოტებით „შენიღბულს“!..

მართალია, ეს „სარისკო ოპერაცია“ რამდენიმე გაწეწილი ნაწნავისა და გადაგრეხილი ხელის ფასად გვიჯდება, მაგრამ ნამდვილად ღირდა!..

აბა, რა ეგონათ, ვერ გავიგებდიიით?!

ამ ყველაფერს საიდანღაც ნანამ მოჰკრა თვალი, ჩვენზე რამდენიმე წლით უფროსმა გოგომ, ხიტუ ბიძიას ერთადერთმა ქალიშვილმა და „ორივე ბანაკისთვის“ შეუვალმა ავტორიტეტმა...

უნდა გენახათ ბიჭების ჩაქინდრული თავები და ჩვენი ამაყი, გაბადრული სახეები!..

როგორ მიყვარს ინგასთან სტუმრობაა!

მართალია, ზურიკო გვაწვალებს ხოლმე, როცა ვთამაშობთ, მაგრამ ეგ არაფერი – მალევე ბეზრდება და ეზოში ჩარბის, ბიჭებთან.

კიდევ ტელევიზორი აქვს სახლში ინგას, ძაااალიან პატარა ეკრანით, წინ – გამადიდებელი შუშით. რა კარგ მულტფილმებს უჩვენებენ ამ ტელევიზორშიიი!!!

ჩვენს მრავალბინიან სახლში კიდევ რამდენიმე ოჯახს აქვს ასეთი ტელევიზორი. ჩვენ ჯერ არა გვაქვს, მაგრამ მამამ თქვა, სულ მალე გვექნებაო. მერე ჩვენთანაც ვუყურებთ გადაცემებს ბავშვები

–აბა, შვილო, გაუმასპინძლდი სტუმარს, შენი მეგობარია და შენ უკეთ იცი, რა უყვარს,–ეს ინგას მამაა, ყურებამდე გაღიმებული ბიძია ფილხაზი, ხმელ–ხმელი კაცი.

–მოიცა, ფილხაზ, ახლავე ისეთ გემრიელ ნამცხვარს გამოვუტან ბავშვებს, ძალიან რომ მოეწონებათ ,–ეს დეიდა რივაა, პირმრგვალი, ლამაზი ქალი.

საოცარი სურნელი და გემო აქვს დეიდა რივას ნიგვზიან და თაფლიან ნამცხვარს!

–ეს ბავშვი ტკბილეულს პირს არ აკარებს და საერთოდაც, ხომ იცი, როგორი უჭმელია... შენს ნამცხვარზე კი ეს დღეებია გაუთავებლად ლაპარაკობს და მთხოვს, გამომიცხვეო... საოცარია პირდაპირ!– ეს დედა ელაპარაკება დეიდა რივას. იმას კი სახეზე კმაყოფილი ღიმილი დასთამაშებს და დედაც მონდომებით იწერს „ნამცხვრის რეცეპტს“...

ზუსტად ინგას ბინის ზემოთ, კიდევ ერთი ქართველი ებრაელების ოჯახი ცხოვრობს: თამარა ბებო, დეიდა ეთერი, იონა და ისაკი. თამარა ბებო დეიდა ეთერის დედაა, იონა და ისაკი კი–დეიდა ეთერის შვილები.

მაღალი და ლამაზი ქალია ეთერი დეიდა...

იონა და ისაკიც მაღალი და სიმპატიური ბიჭები არიან...

“იონა ცოტათი უფრო სიმპატიურია“-ო, ასე უთქვამთ უფროს გოგონებს...

არ ვიცი, არ ვიცი, მე ორივე ერთნაირად მიყვარს!..

იცით, რა კარგად ვთამაშობ ისაკთან ერთად დახუჭობანაასს?! მართალია, სულ მე ვიმალები და სულ ის მეძებს და „ძლივს მპოულობს“ ან „ვერ მპოულობს“, მაგრამ მაინც ძალიან მიყვარს მასთან თამაში...

თქვენ ის უნდა ნახოთ, როგორ დამატარებენ–ხოლმე „პრინ–ცე–სა–სა–ვით“(!), თავიანთ გადაჯვარედინებულ ხელებზე შემომჯდარს, იონა და თამაზი, კაკო ბიძიას ბიჭი. მეც, მათზე ხელგადახვეული, ბიჭების თავებს ზემოდან გადმოვყურებ ირგვლივ ყველაფერს და უსაზღვროდ ბედნიერი ვარ!..

ერთ საღამოს კი...

ერთ საღამოს, მარგო დეიდა ამოვიდა ჩვენთან...

მარგო დეიდა ჩვენი მეზობელია და თავის შვილთან, სოსოსთან ერთად, ცხოვრობს მეოთხე სართულზე. ჩვენ მეხუთეზე ვცხოვრობთ...

–ძაბუ, გაიგე, მეათე ბინიდან, რამდენიმე ოჯახი კიდევ წასულაო?!!

–ალბათ ჩვენებიც მალე წავლენ,– რაღაცნაირად, დაფიქრებული სახით პასუხობს დედა და უცებ ჯილდა დეიდასთან მგზავნის ხახვზე : სადილისთვის მიმაკლდაო... არა -და, ბლომად ეწყო კალათში, მე დავინახე...

ალბათ კიდევ ჭირდება სადილს?!.

ვინ „ჩვენებიო“, რა თქვა დედამ?!

რა თქმა უნდა, ჩვენს მეზობლებს არ გულისხმობდა: არც ინგას ოჯახს... არც იაკობის ოჯახს... არც მანანას ოჯახს... არც იონას და ისაკის ოჯახს... არც დალის და რობერტის ოჯახს არ გულისხმობდა დედა!!!

არა, რა თქმა უნდა, არა!!!

განა ცოტა ყავთ დედას და მარგო დეიდას ებრაელი ნაცნობ–მეგობრები?!.

იქნებ იმ მესაათეს და მის ოჯახს გულისხმობდა, „რკალზე“ რომ აქვს ციცქნა სახელოსნო?! რამდენჯერ

ლეონტი მროველი: ურიანი ურიცხვნი ნათესავნი (!!!) ქართლსა შინა.

ვყოფილვართ იქ საათის და სხვადასხვა წვრილმანის შესაკეთებლად მე და დედა...
იქნებ იმ დეიდას და მის ოჯახს გულისხმობდა, ყოველ დილით უგემრიელეს ღვეზელებს რომ დაატარებს, უცნაური ყუთით და კისრისტეხით გავრბივართ ბავშვები, ერთ ცალს მაინც რომ მივუსწროთ?!.
იქნებ იმ მკერავ ბიძიას და მის ოჯახს გულისხმობდა, მამას რომ კოსტუმი შეუკერა შარშან?!.
ვინ იცის, რომელ მათგანზე ამბობდა, „ჩვენებიო"?!
რა თქმა უნდა, ჩვენს მეზობლებზე –არა!!!
დედა აუცილებლად მეტყოდა!
დედას არასდროს მოვუტყუებივარ!..
მეორე დღეს, თავპირისმტვრევით გავრბივარ ინგასთან...
იქ ისევ ისეა ყველაფერი, როგორც ყოველთვის: ღიმილიანი სახით, თბილად მხვდება დეიდა რივა...
მე და ინგა ერთად დიდხანს ვთამაშობთ...
რატომღაც , შემდეგ დღეებში, სკოლიდან პირდაპირ ბიძიას სახლში, მივყავარ დედას და ღამითაც იქ მტოვებს, ბიძია–ბიცოლასთან და ბიძაშვილებთან...
ერთ დღეს კი...
„სასწრაფოდ და მოულოდნელად მოუხდათ ისრაელში გამგზავრება,"– ასე გვითხრეს მშობლებმა ჩვენი ეზოს ყველა ბავშვს და ჩვენც დავიჯერეთ...
ჩვენი ეზო ერთ დღეში გადასხვაფერდა...
ჩვენც, თითქოს ერთ დღეში, რაღაცნაირად შევიცვალეთ...
მერე გავიგე, თამარა ბებო, ეთერი დეიდა, იონა და ისაკი რომ არ წასულან...
მერე იონა რუსეთში წავიდა...
მერე ისაკმა ცოლი შეირთო, ულამაზესი დოდო...
რა ქორწილი ქონდააათ!
არა, თითქოს ყველაფერი ისე იყო ,როგორც ჩვენს ეზოში, არაერთი ქორწილი გვინახავს ბავშვებს: ლამაზად მორთული სეფით, ულამაზესი მუსიკით, საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან ჩამოსული სტუმრებით...
მაინც, რაღაცნაირად განსხვავებული ქორწილი იყო, შემდეგ რომ დიდხანს ვიხსენებდით...
ერთ დღეს კი მეხივით გავარდა: „იონა დაღუპულა მოსკოვში"!!!'
მერე ეთერი დეიდას ოჯახიც წავიდა...
წლების შემდეგ, არაერთ მათგანთან მქონია ახლო თუ არცთუ ისე ახლო ურთიერთობა.
ჩვენ ერთად ვცხოვრობდით ჩვენს პატარა ქალაქში, სადაც ყველა ერთმანეთს იცნობდა და ყველამ ყველაზე „თითქმის ყველაფერი" იცოდა.
–ახლა არ მითხრა, ეს კბილები ჩემიაო?!– როგორც ეტყობა, დიდი ხანია არ უნახავთ ერთმანეთი.
–შენს პირს შაქარი! რა, ჩემი? ბიჭუნამ ჩამისვა, შტეინბერგმა.
–აბა, სიკვდილამდე, თავი გქონია ქუდში!
ბიჭუნა შტეინბერგი ცნობილი სტომატოლოგი იყო ქალაქში, მამას ბავშვობის მეგობარი. „ბიჭუნა" ქართველმა მეგობრებმა შეარქვეს ახალგაზრდობაში და მთელი ქალაქი ამ სახელით იცნობდა.
–დანიელი დაუნიშნავთ, დირექტორად, „201"–ში.
–დანიელი, მაღალაშვილი? აბა, ეშველება ქარხანას!
ბოლო წელი, გარემოებათა გამო, მისთვის უჩვეულოდ დაბალი მაჩვენებლებით დაამთავრა ქარხანამ, რომლის გამოშვებული „კომეტითა" და „კოლხიდით" ამაყობდა ქალაქი და არა მარტო ქალაქი–ქვეყანა.
რამდენიმე თვეში დაიბრუნა ჩვეული პოზიცია საწარმომ.
მე მქონდა ბედნიერება, გამეცნო ეს მრავალმხრივი უნარით, საოცარი ერუდიციითა და მეხსიერებით გამორჩეული, მტკიცე ხასიათის კაცი, რომელსაც ძალიან უყვარდა საქართველო.
–ვისთან ემზადება შენი ბიჭი, მათემატიკაში?
–ბორიასთან.
–აბა, ჩაუბარებია გამოცდები „უმაღლესში".
ბორია მირილაშვილზე საუბრობენ, ქალაქში ცნობილ მათემატიკოსზე, რომელთანაც მგონი მთელი ქალაქის აბიტურიენტები ემზადებიან. თუ მთელი ქალაქის არა, ნახევარის ხომ – უეჭველად!..
მეც მასწავლიდა ბორია მასწავლებელი, იუმორითა და სითბოთი სავსე კაცი. მის აბიტურიენტებს აუცილებლად „მაღალი ნიშანი" უნდა მიეღოთ „მისაღებ გამოცდებზე" და უბედნიერესი იყო, თუ ვინმე მასავით „გამოყენებითი მათემატიკის" ურთულეს სპეციალობას აირჩევდა. „მისაღებ გამოცდებზე" კი, მშობლებთან ერთად, გულშემატკივრობდა ბავშვებს და ამიტომაც, ყოველ წელს, აგვისტოს ცხელ თვეს თბილისში ატარებდა.
–საით მიიჩქარი, ამ უთენია?
–შვილიშვილს ბატონები დაუბრძანდა და ჭირვეულობს. რაღაც დამაბარა და ვერსად ვიშოვე, იქნებ „ტორგმორტრანსში" იყოს, შოთასთან?!
–„საზღვაო ვაჭრობის" ქსელში თუ არის, ხომ იცი, ცას და ქვეყანას შეძრავს და ხელცარიელს არ გამოგიშვებს შოთა.
მსგავსი დიალოგისთვის არაერთხელ მომიკრავს ყური, როდესაც შოთა მეგრელიშვილზე საუბრობდნენ, მუდამ თბილად მომღიმარ, სიმპათიურ, ოდნავ ტანდაბალ კაცზე, რომელიც, წლების მანძილზე, ხელმძღვანელობდა ქალაქის „საზღვაო ვაჭრობის სამმართველოს".
–ბელამ დაუსვა დიაგნოზი? აბა, წყალი არ გაუვა, ხომ იცი!
ორი ბრწყინვალე ნევროპათოლოგი ჰყავდა ქალაქს: თამარ სარჩიმელია და ბელა კაპლანი.
–შენ იცი, აბული რომ ოთხნიშნა რიცხვებს ერთმანეთზე, უშეცდომოდ ამრავლებს გონებაში?!!
–რას ამბობ, კაცო, რომელი აბული?
–სეფიაშვილი, „სოსო ფოტოგრაფის" ბიჭი.
–ტყუილი იქნება!
–შვილებს გეფიცები! თავად შევამოწმე პასუხი, კალკულატორზე.
აბული სპეციალობით ინჟინერი იყო, საოცარი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა კაცი. ამ თავისი უნარის დემონსტრირებას იგი მხოლოდ ახლობელთა წრეში ახდენდა, გასართობად.
–როგორ აკეთებ ამას?–ვკითხე ერთხელ.
–ძალიან ადვილია. შენც გამოგივა, თუ მოინდომებ. ახლავე გასწავლი.
მასწავლა... მოვინდომე... არ გამომივიდა...
ბევრი ავიდა აღთქმულ მიწაზე, ჩემი ქალაქიდან
ზოგიც დარჩა და წლების შემდეგ, მაინც წავიდა
ზოგი კი დღემდე ცხოვრობს
ცოტანი არიან, ძალზე ცოტანი, დღესაც რომ ცხოვრობენ ჩვენს ქალაქში.
მათ შორის, ვინც პირველი „ალიას" მერე, დიდი ხნით კიდევ დარჩა და შემდეგ მაინც წავიდა, არის ერთი, ჩემვის განსაკუთრებულად საყვარელი ოჯახი–ნანას, მალხაზის და მათი მშობლების ოჯახი.
მე და ნანამ ერთმანეთი სამსახურში გავიცანით და დავმეგობრდით.
მოგვიანებით გავიცანი მალხაზი– ნანას ძმა.
ცოტა ხანში კი უკვე აღარ ვიცოდი, რომლის მეგობარი უფრო მეტად ვიყავი, ნანასი თუ მალხაზის.
ქალის და კაცის მეგობრობა არ გამოდისო – „არ არსებობს წესები, გამონაკლისების გარეშე!"
მე მაოცებდა ამ და–ძმის მუდამ მშვიდი, ყველას მიმართ კეთილგანწყობილი და თბილი დამოკიდებულება, განუზომელი სიკეთე და უშუალობა, გვერდში ამოდგომის გასაოცარი უნარი... მერე გავიცანი მათი მშობლები და ბებია და მივხვდი, დავითაშვილების ასეთ თბილ ოჯახში გაზრდილებს, არ შეეძლოთ სხვანაირები ყოფილიყვნენ!.
ერთ დღეს მაინც გადაწყვიტეს წასვლა...
ქვეყანაში ომი იყო, ძალიან გაჭირდა ცხოვრება...
ისრაელში მყოფი ნათესავები ღელავდნენ, განიცდიდნენ: ნათესავთაგან, მხოლოდ ამათი ოჯახი იყო დარჩენილი საქართველოში...
გამგზავრებამდე, რამდენიმე დღით ადრე , ნანას და მალხაზის სახლში მოვიყარეთ თავი მეგობრებმა, პატარა სუფრასთან...
მალხაზი სადღეგრძელოებით, უსიტყვოდაც–მზერით, გვეფერებოდა თვითეულს. ჩვენც ვეფერებოდით , ვსაუბრობდით და გზას ვულოცავდით...
ოჯახიდან, პირველი ის მიდიოდა, ცოტა ხნის შემდეგ – დანარჩენები...
სულ ახლოს ისმოდა ჭურვების ხმა, ხან ერთი, ხან– მეორე მხრიდან...
მალხაზმა საქართველოს სადღეგრძელო წარმოთქვა...
მუდამ მემახსოვრება ერთი ფრაზა ამ სადღეგრძელოდან: „მე ვიცი, რომ ისრაელი ჩემი სამშობლოა, მაგრამ მე ისიც ვიცი, რომ ჩემი სამშობლო საქართველოა!"
პირველად დავინახე მის თვალზე ცრემლი...
რამდენიმე დღეში, მალხაზი წავიდა...
ბედის ირონიით, გაცილება ვერ მოვახერხე...
ახლა ვფიქრობ: ალბათ უკეთესიც იყო...
ერთ ღამეს კი ასეთი რამ დამესიზმრა: თითქოს სადღაც მივიჩქარი, დიდი ხნის უნახავ მეგობართან შესახვედრად...
მერე მახსენდება, რომ მალხაზს უნდა შევხვდე, რომელიც ისრაელიდან ჩამოვიდა...
ნიკოლაძის სანაპიროს მივუყვები, ჩქარი ნაბიჯით და უცებ, ჩემკენ მომავალ, შუახნის, ოდნავ თმაშევეცხლილ მამაკაცს ვხედავ...
ორივეს თბილად გვაცვია...
ზამთარია...
მალხააახ!– ვყვირი და მისკენ გავრბივარ...
ისიც ხელებს შლის და გულში მიკრავს...
რამდენი წელი გავიდა, არააა?– ვეკითხები...
ოცდაშვიდი წელი გავიდა, იზა, ოცდაშვიდი!!!–მპასუხობს და... მეღვიძება...
შემდეგ, როდესაც ავად გავმხდარვარ და ზოგჯერ ისეც, რომ მეგონა, მოვკვდებოდი, სულ ეს სიზმარი მახსენდებოდა და მახსენდება ...
ჯერ ხომ ოცდაშვიდი წელი არ გასულა, ნანას და მალხაზის ისრაელში წასვლიდან...
ისინი აუცილებლად ჩამოვლენ მონატრებულ საქართველოში და მე დავხვდები...
მე მათ აუცილებლად უნდა დავხვდე!!!

იზა ჭითანავა

გაზეთის ხელმომწერთა საყურადღებოდ!
ერთი ნომრის ღირებულება ორგანიზაციებისთვის
1 წლით - 50 ლარი
6 თვით - 25 ლარი
3 თვით - 12,50ლარი
კარდაკარის პრინციპით გაზეთის გამოწერა მოქალაქეებისთვის
3 თვით - 6 ლარი
იკითხეთ გაზეთი მთავარი თემა სამეგრელოში

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სამუშაოდ იწვევს სამეგრელოს რეგიონიდან ყველა ასაკის მქონე ადამიანებს გაზეთის გამავრცელებლად და სარეკლამო აგენტებად კანდიდატების შერჩევა მოხდება გასაუბრებით. მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/19 ტელეფონი: 599 34 14 17

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სტაჟირებაზე იწვევს სტუდენტებს, ახალგაზრდებს რომელთაც სურთ მიიღონ გამოცდილება ჟურნალისტიკაში წარმატებული სტაჟიორები დასაქმდებიან გაზეთში. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/19 ტელ: 599 34 14 17

ისარგებლეთ გაზეთ "მთავარი თემა სამეგრელოში"შეღავათიანი მომსახურებით, განათავსეთ გაზეთში განცხადებები,რეკლამები, მილოცვები. ოჯახის სამგლოვიარო განცხადებები,მილოცვა- ჩვეულებრივი შრიფტით - ერთი ასო 5 თეთრი, სქელი შრიფტით - 7 თეთრი, პირველ გვერდზე - ორმაგი ფასი, სურათიანი განცხადებები: სამგლოვიარო - 15 ლარი,მილოცვა - 10 ლარი, არაპოლიტიკური რეკლამა: მესამე გვერდზე- მთლიანი გვ. (1000სმ2)-150 ლარი,ნახევარი (500 სმ2) - 75 ლარი;მეოთხედი (250სმ2)-37.50 ლარი; მეხუთე გვერდზე: მთლიანი გვ. -130 ლარი; ნახევარი - 65 ლარი; მეოთხედი 32.50 ლარი. პირველ გვერდზე რეკლამა ხუთჯერ ძვირია, ვიდრე მესამე გვერდზე,ბოლოზე- სამჯერ ძვირი ვიდრე მესამე გვერდზე. პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია. მრავალჯერად რეკლამებზე და ხელმოწერებზე გათვალისწინებულია ფასდაკლება. გაზეთის გამოწერის მსურველებმა მიმართეთ სამეგრელოს რეგიონალური გამოცემის ოფისს. ქ. ფოთი, წმ. ნინოს ქ.3/ 2 ტელ: 0(493) 22-40-50; 5(99) 34 14 17,

მთავარი თემა სამეგრელოში თქვენი პრობლემების კვალდაკვალ

Ⓡ ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.